# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 იანვარი, შაბათი, 1990 წ.
№ 18 (10 187) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# სპორტსაზოგადოება „შევარდენის" პლენუმი

გაიმართა პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი, რომელმაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების წინასაარჩევნო პლატფორმა.

პლენუმმა, გამოიყენა რა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 33-ე მუხლით მინიჭებული უფლება, დაასახელა სახალხო დეპუტატობის კანდიდატები საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაციიდან.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა პროფკავშირების აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოებისადმი, ამ რეგიონში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

## პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" წინასაარჩევნო პლატფორმა

მეტად რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის პირობებში მიმდინარეობს საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება; რესპუბლიკის თვისობრივად ახალი პარლამენტის არჩევის პოლიტიკურ კამპანიაში აქტიური მონაწილეობა, დეპუტატობის კანდიდატებად მხოლოდ ღირსეულთა წამოყენება და მათი მხარდაჭერა, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მილიონნახევრიანი ორგანიზაციის თითოეული წევრის პატრიოტულ მოვალეობას წარმოადგენს.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" როგორც საქართველოს პროფკავშირების დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგნიზაციის წინასაარჩევნო პლატფორმის მთავარი არსი გამომდინარეობს მისი მკვეთრად გამოხატული ისეთი პოზიციებიდან, როგორებიცაა:

— რესპუბლიკის შემდგომი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება, მისი სრული სუვერენიტეტის მიღწევა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემის დემოკრატიზაცია, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა, ცხოვრების ყველა სფეროში საჯაროობისა და დემოკრატიზაციის გაღრმავება, ეკონომიკის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღება, ეროვნებათაშორისო ურთიერთობების სრულყოფა.

— პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი" მთლიანად უჭერს მხარს რესპუბლიკის პროფკავშირების, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი ორგანიზაციების წინასაარჩევნო პლატფორმას, აგრეთვე იმ გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების საქმიანობას, რომელთა მიზანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობის შემდგომი გააქტიურება, მისი თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანა, მშრომელთა ინტერესებისა და კანონიერი უფლებების დაცვა.

— სპორტსაზოგადოება „შევარდენი" მხარს უჭერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევის მე-12 სესიის გდაწყვეტილებებს და საქართველოს ახალ პარლამენტთან ერთად დღენიადაგ იბრძოლებს იმისათვის, რათა გამოინახოს კონკრეტული გზები მათი რეალიზაციისათვის.

— ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ეთნოკრიზისის გამომწვევ ექსტრემისტთა მოქმედებას, მოვითხოვთ იმ დამნაშავეთა მკაცრად დასჯას, ვინც მოაწყო და განახორციელა უდანაშაულო ადამიანთა სისხლისღვრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ყველაფერს ვიღონებთ ეროვნებათაშორისო ურთიერთობების სრულყოფისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობასთან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობების განმტკიცებისა და საერთო ეროვნულ მოძრაობაში ერთობლივი მონაწილეობისათვის; გადაუდებელ ამოცანად მივიჩნევთ საქართველოს რესპუბლიკის ისეთი კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებას, რომელიც სრულად ასახავ...

იხ. გვ. 2 გვ

## სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური ორგანიზაციისაგან საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულნი არიან:

**ნანა გიორგის ასული ალექსანდრია** — სახტელერადიოს ტელეკომენტატორი, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ვახტანგ ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლის დირექტორი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში, ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე;

**ნონა ტერენტის ასული გაფრინდაშვილი** — უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მეთოდკაბინეტის ასისტენტი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი;

**თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძე** — გაზეთ „ლელოს" რედაქტორი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი;

**დუგლას პეტრეს ძე კავთელაშვილი** — ქუთაისის „აიას" ოსტატ მორაგბეთა გუნდის მთავარი მწვრთნელი;

**კობა ბეჟანის ძე კურტანიძე** — გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ძიუდოში;

**ნინო ვახტანგის ასული სალუქვაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ტყვიის სროლაში;

**ვაჟა დავითის ძე შუბლაძე** — პროფკავშირების საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე;

**გივი ხერგოს ძე შულაროვი** — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი.

## პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმის მონაწილეთა

# მიმართვა

## აზერბაიჯანისა და სომხეთის პროფკავშირების სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოებისადმი

**ძვირფასო მეგობრებო, ძმებო!**

ჩვენ, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმის მონაწილენი, უღრმესი გულისტკივილითა და მწუხარებით აღვიქვამთ აზერბაიჯანსა და სომხეთში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს, რომლებმაც ათეულობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს ქართველი ერისა და მთლიანად კავკასიის ხალხების საერთო სატკივარია.

გამოვხატავთ რა ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრიობის ერთსულოვან აზრს, მოგიწოდებთ თქვენ, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებს, სპორტსმენებს, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ვეტერანებს, ჩვენი კავკასიური სპორტული ოჯახის წარმომადგენლებს, აქტიურად ჩადგეთ ძმათა სისხლისღვრის შეწყვეტისათვის მებრძოლთა რიგებში, რათა უმოკლეს დროში აღდგეს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამეზობლობის ტრადიციები.

კმარა სისხლისღვრა! ჩვენს ხალხებს საერთო სანუკვარი მიზანი აქვთ — ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, რასაც ურთიერთთანადგომა და ერთობლივი ბრძოლა სჭირდება.

# კობა კურტანიძემ გახსნა ანგარიში



**კიევი.** აქ დაიწყო ძიუდოისტთა საკავშირო საუწყებო ჩემპიონატი, რომელშიც 400-ზე მეტი ათლეტი გამოდის. პირველ დღეს ტრადიციულად გათამაშდა მედლები მძიმე (95 კგ. ზევით) და ქვემძიმე (95 კგ) წონებში.

მძიმეწონოსანთა ასპარეზობაში სხვადასხვა მიზეზით ვერ იჭიდავეს ფავორიტებმა — გრიგორი ვერიჩევმა (ამბობენ, რომ მან საერთოდ თავი დაანება სპორტსო) და აკაკი კობრძალიძემ (იგი შეუძლოდ იყო). ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშეველი სერგეი კოსოროტოვი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ვალერი პარუნაშვილი. გამარჯვება ამჯერად წილად ხვდა კოსოროტოვს, პარუნაშვილი კი ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამ წონაში ბრინჯაოს ჯილდო ახალგაზრდა ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა მიიღო.

ქვემძიმე წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ოქროს მედალი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა კობა კურტანიძემ (გორი) დაისაკუთრა. ქართველმა ძიუდოისტმა ყველა მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, მათ შორის ახლახან იაპონიის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული სტანისლავ კასოევი, ფიზიკურად ძლიერი და პერსპექტიული ლეონიდ სვირიდი და სხვები. ფინალში იგი შეხვდა თანამემამულე გივი გაურგაშვილს, რომელიც ჩელიაბინსკში ცხოვრობს და ამ ქალაქის ღირსებას იცავს. გაურგაშვილი, ცხადია, გაურბოდა ტიტულოვან მეტოქესთან საგულდაგულოდ შებმას და ამის გამო გაფრთხილებებიც მიიღო. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონმა დაამტკიცა, რომ დღეს-დღეობით ამ წონაში ბადალი არ ჰყავს.

უკრაინის დედაქალაქში პარალელურად ძიუდოისტ ქალთა ჩემპიონატიც მიმდინარეობს. აქ მძიმეწონოსანთა ტურნირში ბრინჯაოს მედალი თბილისელმა ვიქტორია კაზუნინამ (არმიის სპორტკლუბი) მოიპოვა.

**ტექნიკური შედეგები:**

**მძიმე წონა.** 1. სერგეი კოსოროტოვი (კუიბიშევი), 2. ვალერი პარუნაშვილი (თბილისი), 3. დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი) და იური მეეროვიჩი (ახტირკა, სუმის ოლქი).

**95 კგ.** 1. კობა კურტანიძე (გორი), 2. გივი გაურგაშვილი (ჩელიაბინსკი), 3. ევგენი პეჩუროვი (კოლომნა) და ვადიმ ვოინოვი (რიგა).

**86 კგ.** 1. ალექსანდრე სივცევი (კურსკი), 2. ვალერი იუდანოვი (კიევი), 3. ვლადიმერ შესტაკოვი (პერმი) და ვიტალი ბუდიუკინი (მოსკოვი)

**78 კგ.** 1. რაშიდ იბრაჰიმოვი (მახაჩყალა), 2. ბაშირ ვარაევი (გროზნო), 3. კაირატ მისიხბაევი (ალმაათა) და რუსლან მაზაევი (გროზნო).

სურათზე: კობა კურტანიძე.

# დათო კაჭარავა — მემორიალის პირველი ჩემპიონი

სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ დააწესა ჩოგბურთელთა ახალი საკავშირო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონის ბორის ნოვიკოვის ხსოვნას. პირველ მემორიალში, რომელიც „დინამოს" სტადიონის ჩოგბურთის სასახლეში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო 32-მა ვაჟმა და 17-მა ქალმა.

ვაჟთა ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა დათო კაჭარავამ. განსაკუთრებით ეფექტურად ჩაატარა მან ფინალური შეხვედრა მოსკოველ ა. მერიონოვთან — 6:3, 6:2 და მემორიალის პირველი ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

ქალთა ტურნირში წარმატება ხვდა ლვოველ ტ. შაპოვალოვას, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში აჯობა მოსკოველ ე. პოგორელოვას — 6:7, 6:2, 6:4.



## თბილისის XXIX საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

# პირველი შეხვედრების სირთულეები

— „იწყება ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში", — გამოაცხადა დიქტორმა თბილისის სპორტის სასახლეში. როგორც ხედავთ, ამ პოპულარულ შეჯიბრებას ძველი სახელი დაუბრუნდა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ყალბი საფუძველით

იხ. გვ. 2 გვ

# პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წინასაარჩევნო პლატფორმა

(დასასრული)

ქართველი ერის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნებების ინტერესებს.

**ერის** სულიერი პოტენციალის ამაღლება, ეკონომიკის წინსვლა დიდად არის დამოკიდებული მის სიჯანსაღეზე; ამიტომ სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ თავის უპირველეს, უშუალო მოვალეობად სწორედ ერის გაჯანსაღებისათვის ზრუნვას მიიჩნევს, რადგან — „ჯანმრთელობა ყველაფერი არ არის, მაგრამ ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი არარაობაა“; იგი მოუწოდებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის მშრომელებს, ახალგაზრდობას, თითოეულ ამომრჩეველს, რათა აქტიურად გამოიყენონ წინასაარჩევნო კამპანიის ტრიბუნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური დანიშნულების, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისათვის.

„ყველაფერი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ყველაფერი ერის გაჯანსაღებისათვის“ — ასეთია ჩვენი წინასაარჩევნო პლატფორმის მთავარი ლაიტმოტივი.

ადამიანების გაჯანსაღებაზე საგნობრივი, სახელმწიფოებრივი ზრუნვის გაძლიერება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან ამ მხრივ, დღეს რესპუბლიკაში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა: სამუშაოზე გამოუცხადებლობის სამ მეოთხედზე მეტი დროებით შრომის უუნარობაზე მოდის; მშრომელთა ავადმყოფობის გამო რესპუბლიკას ყოველწლიურად აკლდება 767 მილიონი მანეთის პროდუქცია და 340 მილიონი მანეთის ეროვნული შემოსავალი. დადგენილია, რომ ავადმყოფობების შემცირებაზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებიდან ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე 30-40 პროცენტი მოდის, ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების წინა პლანზე წამოსაწევად, როგორებიცაა:

— მოსახლეობის ფართო ფენებს შორის ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის მასშტაბების გაფართოების უზრუნველსაყოფად სათანადო პირობების შექმნა; ამ მიზნისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი, პროფკავშირული, სამეურნეო, კოოპერატიული ორგანიზაციების, სხვადასხვა ასოციაციების, კავშირებისა და გაერთიანებების საქმიანი კონტაქტების განმტკიცება და მათი ერთიანი ძალისხმევის ერის გაჯანსაღების საქმეში ჩაყენება;

— წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელთა პირადი დაინტერესების, აგრეთვე მათი პერსონალური პასუხისმგებლობის ზრდა მშრომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვისადმი, ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის ფართოდ დანერგვის მეშვეობით;

— ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის თანამედროვე ფორმების ფართოდ დანერგვა შრომით კოლექტივებში, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას შორის;

— რესპუბლიკაში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე ქალთა ჯანმრთელობასა და მათ გაჯანსაღებაზე ზრუნვა, სათანადო აღდგენითი ცენტრების შექმნისა და ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის გზით;

— ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდობას შორის ნარკომანიის, ტოქსიკომანიისა და სხვა მავნე ჩვევების აღმოფხვრისათვის ბრძოლა;

— გამაჯანსაღებელი მუშაობის მასშტაბების გაფართოვება ინვალიდებთან, მათი პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციისათვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფა;

— საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გაჯანსაღებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაზე ზრუნვა, მოზარდებთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

— სტუდენტური სპორტული მოძრაობის აქტივიზაცია და დემოკრატიზაცია, უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის შექმნის იდეის განხორციელება და მისი შემდგომი განმტკიცება;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, არსებულის ეფექტურად გამოყენება;

— სპორტული ინდუსტრიის საწარმოო ბაზის დაჩქარებული განვითარება;

— სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;

— ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულება, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სრული მხარდაჭერა. რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმომადგენლობის ზრდა ოლიმპიურ თამაშებზე, ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტის მიღწევა;

— საზოგადოებასთან არსებული სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის ეკონომიკური საფუძვლის განმტკიცება.

ადამიანის ჯანმრთელობა და ბუნების „ჯანმრთელობა“ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვასაც ნიშნავს, ამიტომ სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, ერის ინტერესებიდან გამომდინარე, უკომპრომისოდ და პრინციპულად იბრძოლებს ეკოლოგიური გაჯანსაღების პრობლემასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.

* * *

სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის ახალმა პარლამენტმა:

— უნდა უზრუნველყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ კანონის მიღება, რომელიც საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლების კვალობაზე, ხელს შეუწყობს ფიზიკური კულტურის დაჩქარებულ განვითარებას, მისი სოციალური დანიშნულების ზრდას;

— უნდა მიაღწიოს ერის გაჯანსაღებისათვის საჭირო აუცილებელი სახსრების გამოყოფას, ვინაიდან საზოგადოებას მიაჩნია, რომ დღეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მშრომელები თავიანთი გაჯანსაღებისათვის თითქმის არაფერს არ იღებენ;

— უნდა შეცვალოს აგრეთვე არსებული სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ჯანმრთელობისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;

— უნდა გადაწყვიტოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვისას დარგობრივ სტრუქტურაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცალკე ხაზად გამოყოფის საკითხი, რადგან იგი ერის გაჯანსაღების პრობლემებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომისა და ზრუნვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია;

სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ დაუცხრომლად იბრძოლებს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისათვის, უმაღლეს საბჭოში მის მიერ წარგზავნილი დეპუტატების მეშვეობით.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი მოუწოდებს საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, საზოგადოების თითოეულ წევრს, ყველა ამომრჩეველს ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი აღნიშნულ წინასაარჩევნო პლატფორმასა და ამ პოზიციებზე მდგომ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს.

**მიღებულია პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმზე.**

**25 იანვარი, 1990 წელი.**

# პირველი შეხვედრების სირთულეები

(დასასრული)

(ცოცხალი ადამიანის სახელობის ტურნირი სად გაგონილაო) „ჩამოართვეს“.

სტუმრებმა არ დაგვაღალატეს — თბილისში ჩამოვიდა ყველა გუნდი, რომელთა იმედიც გვქონდა: აშშ-ის, კანადის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, კსდრ-ს, თურქეთისა და ირანის წარმომადგენლები. მაგრამ გუნდში დანაკლისი აქვთ თურქებს, რაც მეტად დასანანია... ჩვენთვის. საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე გაუწყეთ, საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ გორში უნდა გაიმართოს სამატჩო შეხვედრა თურქეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, საბჭოთა კავშირის საელჩომ გუნდის ერთ ნაწილს — ოთხ იქაურ მოჭიდავეს ვიზა არ მისცა. ამის მიზეზი ჩვენ ჯერ არ ვიცით, შედეგს კი კარგად ვგრძნობთ — სამატჩო შეხვედრა გორში ალბათ მხოლოდ 6 წონით კატეგორიაში გაიმართება.



მამუკა რაზმაძემ წმინდად დაამარცხა კორეელი ზენ მენ კედი.

ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ არის გასული წლის არც ერთი მსოფლიო ჩემპიონი, თამამად შეიძლება ძალიან ძლიერი ეწოდოს. ვერ გეტყვით, ამჟამად რა აზრის არის საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ივან იარიგინი გასული წლის ჩემპიონებზე, მაგრამ პირად საუბარში გვითხრა, რომ ქვეყნის ნაკრების ახლანდელ ლიდერთა უმრავლესობა აქ, თბილისში, ჩამოსული არისო და დაასახელა შესაბამისი წონითი კატეგორიები: 52, 57, 62, 68, 82, 100 კგ და მძიმე წონა. როგორც ხედავთ, ივან იარიგინის პასუხში ბევრი კითხვა იმალება, რომელსაც, იმედია, მასთან შემდეგ საუბრში შევიტყობთ.

სხვათა შორის, თბილისში ჩამოვიდა გასული წლის ერთი მსოფლიო ჩემპიონი, მახაჩყალელი ელმადინ ჟაბრაილოვი, რომელიც 82 კგ. წონაში გამოდის და ავთანდილ გოგოლიშვილის ძირითად მეტოქედ ითვლება. ოღონდ მან გადაწყვიტა ხალიჩაზე არ გამოვიდეს და დამკვირვებლის როლში დარჩეს. შესაძლოა, გოგოლიშვილთან შეხვედრას აარიდა თავი, რადგან ერთი მარცხიც კი მას პრივილეგირებულ მდგომარეობას დააკარგვინებს.

ტაშის გრიალით შეეგებნენ თბილისელი მაყურებლები თავის ძველ ნაცნობს, ამერიკის გუნდის ლიდერს დეივ შულცს. შულცმა (74 კგ.) პირველი შეხვედრა თემურ ბელთაძესთან ჩაატარა და 6:0 დაამარცხა იგი. შემდეგ გამარჯვებულს ინტერვიუ ვთხოვეთ.

● **მერამდენედ ხართ თბილისში?**

— უკვე მეათედ. აქედან რვაჯერ ვიჭიდავე და მხოლოდ ერთხელ გავხდი ჩემპიონი. ეს ძალიან ძლიერი, „ძნელი“ საერთაშორისო ტურნირია, ყველაზე ძნელი, რაც კი ვიცი.

● **გავიგეთ, თქვენს კლუბს („ფოქს ქეჩერი“, ფილადელფია, გ. ჩ.) მოლაპარაკება ჰქონია ქართველ მოჭიდავეებთან ურთიერთკავშირის გაღრმავებაზე. რა პერსპექტივას ხედავთ ამაში?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. მე რომ „დიდი კაცი“ ვიყო, ვიცი, რასაც გავაკეთებდი. ახლა კი ჯერჯერობით მხოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ. სურვილი კი დიდი გვაქვს.

● **გვითხრეს, რომ თითქოს თქვენ თავს ანებებდით ჭიდაობას, შარშან არც მსოფლიო ჩემპიონატში გამოსულხართ.**

— ვინმე გიჟი გეტყოდათ. მსოფლიო ჩემპიონატში კი იმიტომ ვერ გამოვედი, რომ ამერიკის ჩემპიონატში მაჯობა კენი მონდეიმ. იგი შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ფინალში თვით ფაძაევს მოუგო.

● **წლეულს არ აპირებთ რევანშის აღებას?**

— მინდა, რა თქმა უნდა, მაგრამ საკითხი ისაა, შევძლებ თუ არა, ჩვენს შორის გამარჯვებული მსოფლიოში უძლიერესი უნდა იყოს 74 კილოგრამ წონაში.

● **თავისუფალი სტილის მოჭიდავე მხოლოდ სპორტით თავს თუ გაიტანს ამერიკაში?**

— მხოლოდ საუკეთესოები. ჩვენს კლუბს, მაგალითად, სპონსორი ჰყავს.

● **ამერიკელებზე ამბობენ, პრაქტიკული ხალხიაო. ამით ხომ არ აიხსნება, რომ თავისუფალ ჭიდაობას ბევრი მიმდევარი არ ჰყავს თქვენში.**

— არა, ამერიკელები უბრალოდ კარგად არ იცნობენ თავისუფალ ჭიდაობას. ფული გადამწყვეტ როლს არ თამაშობს.

● **ყველა ქვეყანას თავისი კოლორიტი აქვს. რას იტყვით საქართველოს შესახებ?**

— აქ კარგად ვგრძნობ თავს. საქართველო, შეიძლება ითქვას, ჩემთვის მეორე ქვეყანაა. თქვენ გაქვთ უძველესი კულტურა. საერთოდ, კარგი ხალხი ყველგან არის, მაგრამ მგონია, რომ აქ უფრო ბევრია.



დეივ შულცი.

● **ხომ ვერ გაიხსენებდით თქვენს პირველ შთაბეჭდილებებს ამ ტურნირის შესახებ და ახლანდელს შეადარებდით?**

— მაშინ 17 წლის ვიყავი და მეტოქეებს რომ შევხედე, შიშის ზარმა ამიტანა. ისინი პირდაპირ საშინელ მხეცებად მომეჩვენა, ახლაც, შეხედეთ, არ გინდათ მათთან ჭიდაობა? (შულცმა ხალიჩისკენ მანიშნა გ. ჩ.).

● **კი მაგრამ, ხშირად რომ ამარცხებთ მათ?**

— ჰო, მეც ხანდახან ასეთი ვარ...

ახლა კი გაგაცნობთ პირველი წრის შეხვედრებს ჩვენი ფალავნების მონაწილეობით. დაბალ წონებში თავიდან მაინცდამაინც კარგად არ წაგვივიდა საქმე, დამარცხდნენ ზურაბ ტატუაშვილი, მიხეილ ჯაფარიძე, ნუგზარ ნასყიდაშვილი (სამივე — 52 კგ), 57 კგ. წონაში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა (15:5) გივი სისაურმა ამერიკელ ბრედ პიმრიტთან. მოიგო ეგია მუსოიანმაც მიხეილ ჩერნოვთან, გიორგი ბერუაშვილი კი დამარცხდა.

62 კგ. პირველი შეხვედრა მოიგო გოჩა მაკოევმა. სამწუხაროდ, ქულებით დამარცხდნენ ზაზა ზოზიროვი და ყვარლელი შამილ მაგომედოვი (დამატებით დროში).

უფრო მძიმე წონებში ჩვენმა ფალავნებმა გაცილებით მეტი გამარჯვება მოიპოვეს. თავაწეულებმა დატოვეს ხალიჩა გიორგი ხინჩიკაშვილმა და ხვიჩა საბაშვილმა (68 კგ), წმინდად დაამარცხა ბულგარელი ვალენტინ გეცოვი პავლე ხურციძემ (74), ხოლო ეროსი ელოშვილმა (74) ძალზე პრინციპულ შერკინებაში აჯობა ცნობილ მოჭიდავე ადლან ვარაევს — 8:7.

წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს აკაკი მგელაძემ (82) და მამუკა რაზმაძემ (90), ქულებით — ავთანდილ გოგოლიშვილმა და გიორგი გულბანმა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**



# რატომ „საგაზეთო ვარიანტი?“

**ჩვენს** სარედაქციო ფოსტაში ბოლო დროს მომრავლდა წერილები „გრიფით“ — „განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს“, რომელთა მიღებისას, ცხადია, გვაინტერესებს ავტორთა ვინაობა, უფრო ზუსტად კი მათი კომპეტენტურობა ამ საკითხში. და რაც უფრო კვალიფიცირებული პიროვნება აწერს ხელს წერილს, მით უფრო საინტერესოა მისი აზრი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ამაში, ვფიქრობთ, თვით მკითხველიც დარწმუნდა, მაგალითად, როცა წაიკითხა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მართვისა და ისტორიის კათედრის გამგის, პროფესორ აკაკი დოკვაძის რამდენიმე შენიშვნა და დამატება კონცეფციის პროექტზე. მას მოჰყვა იმავე ინსტიტუტის პროფესორ ვასილ ელაშვილის გამოხმაურება — „რამდენიმე მოსაზრება პროექტის ირგვლივ“. ავტორის აზრით, ამ საკითხზე „ლელოში“ მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება იმიტომ გამოქვეყნებულა, რომ კონცეფციის პროექტი „საგაზეთო ვარიანტი“ ყოფილა“ და მას აეჭვებს, რომ არის „საჟურნალო ვარიანტიც“ და სარკაზმით შენიშნავს,. რა განსხვავებაა მათ შორისო. ამგვარი შედარება და ნიშნის მოგება არ ამშვენებს ავტორს. უნდა დავამშვიდოთ პროფესორი, რომ არავითარი პროექტის „საგაზეთო“ და „საჟურნალო“ ვარიანტი არ არსებობს. უბრალოდ, პროექტის, რომელიც ძალზე ვრცელი იყო, საგაზეთო „კორექტირება“ მოხდა... სრული ტექსტი ათას გვერდამდეა და „ლელოს“ მის დასაბეჭდად რამდენიმე ათეული ნომერი არ ეყოფოდა, თანაც ასობით ფურცელი უკავია დანართებს, რაიონებიდან, ქალაქებიდან, სოფლებიდან წამოსულ ინიციატივას იმაზე, თუ ვინ რას გააკეთებს. რაც მთავარი და საჭირო იყო, განსახჯელად ის მივაწოდეთ მკითხველს, დამალვით აბა რას დავმალავდით. სხვათა შორის, კონცეფციის პროექტი განიხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც პროფესორი ვ. ელაშვილი მუშაობს. გარდა ამისა, თუ პატივცემულ პროფესორს სრული ტექსტის გაცნობა სურდა, მოეძია იგი ჩვენს რედაქციაში, სპორტსახკომში ან თავისთან, ინსტიტუტში, სადაც მას სიამოვნებით გააცნობდნენ მთლიან ტექსტს თუ ამას მაინცდამაინც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის.

# ბრძოლა გრძელდება

**ბრძოლა** გრძელდება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასა და სსრ კავშირის საფეხბურთო ლიგების კავშირის მეთაურთა შორის. ეს კონფრონტაცია კარგა ხანია დაიწყო და ბოლო ჯერ არ უჩანს. ორხელისუფლებიანობა ჩვენს ფეხბურთში, არსებითად, კვლავ გრძელდება.

სულ ახლახან, 21 იანვრს, სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციულმა საბჭომ საზოგადოებრიობას ამცნო, რომ 28 იანვარს მოსკოვში შედგება ფეხბურთის სპეციალისტების, მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და ვეტერანების საგანგებო ყრილობა, ყრილობაზე მიწვეული არიან არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლები, ახლადშექმნილი კავშირების ხელმძღვანელები, აგრეთვე, მასობრივი ინფორმაციისა და ფეხბურთის მოყვარულთა კლუბების წარმომადგენლები. ყრილობის დღის წესრიგშია სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის უფლებამოსილება, 1991 წლის საკავშირო პირველობის სტრუქტურა, სსრ კავშირის ფეხბურთელთა პროფკავშირების შექმნა, აგრეთვე, ფეხბურთის ვეტერანთა და ინვალიდთა დახმარების ფონდის პრობლემები. ამასთან ერთად განიხილავენ კავშირის რეგიონთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საკითხს.

ფეხბურთის დარგში მომუშავე ადამიანები გამოხატავენ თავიანთ თვალსაზრისს მომავალი ყრილობის თაობაზე. ბევრს მიაჩნია, რომ ფეხბურთს სჭირდება თავისი პროფესიული ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომ მას უნდა მეთაურობდნენ სპეციალისტები და საქმის მცოდნე ადამიანები. გარდა ამისა, ფეხბურთელებს აუცილებლად ესაჭიროებათ საკუთარი პროფკავშირები. სულ ახლახან შეიქმნა ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია, მაგრამ ეს არსებითად იგივეა, რაც უწინ იყო, ოღონდ შეიცვალა მხოლოდ „აბრა".

პროფესიული ლიგის შექმნის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ამ კავშირს საერთოდ არა აქვს იურიდიული პირის სტატუსი, მისი წესდება დამტკიცებული არაა, რომ ყველაფერი ეს ფაქტიურად წააგავს არასანქციონირებულ მიტინგს ყველა მსურველისთვის. რაც შეეხება 1991 წლის საკავშირო პირველობის სტრუქტურას, ეს საკითხი მიმდინარე წლის 1 მარტამდე უნდა განიხილონ საკავშირო ფეხბურთის კონფედერაციაზე და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე. ორი სხვადასხვა აზრის არსებობა ერთი და იგივე შეჯიბრებაზე ყოვლად მიუღებელია. ფეხბურთს ჩვენს ქვეყანაში უნდა უხელმძღვანელოს ფეხბურთის ფედერაციამ, პროფესიული ლიგა კი მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის ხელმძღვანელთა ამ დავაში საინტერესოა პროფესიული ლიგების კავშირის 28 იანვრის საგანგებო ყრილობის დადგენილებანი.

## თარიღები დადგინდა

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა განსაზღვრა კონტინენტის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრათა თარიღები ახალგაზრდულ გუნდებს შორის (ასაკი — 21 წლამდე).

სსრ კავშირის ნაკრები 14 მარტს შინ მიიღებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს, 28 მარტს კი მეტოქესთან სტუმრად ჩაატარებს საპასუხო მატჩს. ამავე დღეებში ითამაშებენ ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის, იუგოსლავიისა და ბულგარეთის გუნდები. იტალიისა და ესპანეთის ფეხბურთელები ერთმანეთს შეხვდებიან 21 თებერვალს და 29 მარტს.

# მომავლის დაჩქარება ფეხბურთშიც შეიძლება

**როგორც** ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, ჩვენს პრესაში და რადიო-ტელევიზიაში გაჩაღებულ დისკუსიას იმის თაობაზე, შეიქმნას თუ არა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ლიგა, მოჰყვა 26 დეკემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონის კლუბში ფეხბურთის სპეციალისტებისა და დაინტერესებული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრაზე გამოიკვეთა აზრი, რომ ამ საკითხს უნდა წყვეტდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც მართალია არსებობს, მაგრამ თავის ამჟამინდელი სტატუსით იგი ვერ ახერხებს უზრუნველყოს ჩვენში ფეხბურთის განვითარება.

სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ საჭიროა შეიქმნას ფეხბურთის ისეთი ფედერაცია, რომელიც გაუძღვება რესპუბლიკაში როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ფეხბურთის განვითარებასთან.

შეხვედრაზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და ფეხბურთის ახალი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ როგორც ფეხბურთის სპეციალისტები, ისე საზოგადოების წარმომადგენლები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა დაევალა დავით კვინიკაძეს. მას ესაუბრება სპორტული ჟურნალისტი ზურაბ პეტრიაშვილი.

● **პირველ ყოვლისა მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თუ რა პრინციპული სხვაობა იქნება არსებულ ფეხბურთის ფედერაციასა და იმ ფედერაციას შორის, რომელიც ყრილობამ უნდა დააფუძნოს?**

— ამჟამინდელი ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე. ამით განისაზღვრება მისი მუშაობის ხარისხიც.

● **ფეხბურთის ფედერაციაზე რაც თქვით გასაგებია, მაგრამ ვიცით, რომ არსებობს ფეხბურთის სამმართველო, რომელსაც უფრო მეტი პასუხისმგებლობაც აკისრია და შესაძლებლობებიც მეტი აქვს. სამმართველო ხომ სახელმწიფო ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი რგოლია.**

— რასაკვირველია, სამმართველო ჩვენს ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას, ბევრი პრობლემური საკითხის გადაჭრაში უხერხემლობას ავლენდა, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ფეხბურთის სამმართველოს ფუნქციებში ერეოდა ეგრეთ წოდებული ოფიციოზი, რომელსაც, როგორც წესი, ყველაფრის ცოდნის პრეტენზია აქვს, ხშირ შემთხვევაში კი ამბიციურობისა და არაკომპეტენტურობის გამო ხელსაც უშლის ფეხბურთის ნორმალურ განვითარებას. მხედველობაში მაქვს ჩარევა დაწყებული ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელთა დანიშვნა-განთავისუფლებით, დამთავრებული საქართველოს პირველობის დებულებების პუნქტებში ცვლილებების შეტანით.

● **ძირითადად მაინც რა განასხვავებს ახლადშექმნილ ფედერაციას ძველისაგან?**

— ახალმა ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გააერთიანოს ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის ფუნქციები, ეს კი მოსპობს ხელოვნურად შექმნილ ორხელისუფლებიანობას, უნდა აღიკვეთოს ამ მიზეზითაც რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში არსებული გაუგებრობები. ახალი ფეხბურთის ფედერაციის წესდების პროექტი ითვალისწინებს, რომ ფედერაცია იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე, იქნება თვითდაფინანსებაზე მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფო — საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილი იქნება საქმიანი ურთიერთკავშირი დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან, ცალკეულ კლუბებთან და ფირმებთან და როგორც დამოუკიდებელმა ფეხბურთის ფედერაციამ უშუალო ურთიერთობა უნდა იქონიოს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციებთან (ფიფა, უეფა). ფედერაცია დიდ ყურადღებას დაუთმობს ფეხბურთელებისა და ფეხბურთში მომუშავეთა ინტერესების დაცვას. სწორედ ამ ორი საკითხის გადაჭრის მიზნით წესდების პროექტში გათვალისწინებულია ფედერაციაში იმუშაოს უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტმა და ფეხბურთელებისა და ფეხბურთის მუშაკთა ინტერესების დაცვის კომიტეტმა.

● **ახსენეთ საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციები, სადაც უნდა გაწევრიანდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მაგრამ ვიცით, რომ ფიფა-მ გაზეთ „ლელოს" რედაქტორის შეკითხვაზე გარკვევით განგვიცხადა თქვენს რესპუბლიკას არა აქვს უფლება ფიფა-ს წევრი გახდესო. ეს პასუხი გამოქვეყნდა „ლელოს" 7 იანვრის ნომერში.**

— მიუხედავად იმისა, რომ ფიფა-მ მართლაც გარკვევით მოგვწერა საქართველოს არა აქვს უფლება გახდეს ფიფა-ს წევრიო და ფიფა-ს წესდების 1 მუხლის 1 პარაგრაფზე მიგვითითა, სადაც წერია, რომ „ფიფა აერთიანებს ეროვნულ-საფეხბურთო ასოციაციებს, რომლებიც შედიან ფიფა-ს რიგებში, როგორც ერთად-ერთი ფეხბურთის მაკონტროლებელი ორგანოები თავიანთ ქვეყნებში. თითოეული ქვეყანა ფიფა-ს შემადგენლობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასოციაციით. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ფიფა-ში შედის ოთხი ეროვნული ასოციაციით: ინგლისი, ირლანდია, შოტლანდია და უელსი". მაგრამ, ისევე როგორც „ლელოს" ზემოხსენებულ ნომერში გვინდა დავეყრდნოთ სწორედ ფიფა-ს წესდების ამავე მუხლის მესამე პარაგრაფს, სადაც გარკვევითაა ჩაწერილი, რომ „ასოციაციებს, რომლებიც ჩამოყალიბდებიან დომინიონ და კოლონიურ ქვეყნებში, შეუძლიათ ძათზე გაბატონებული ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის თანხმობით დაექვემდებარონ მათ, ან შეუძლიათ უშუალოდ გაერთიანდნენ ფიფა-ში.

იგივე პრინციპებით შეუძლიათ იმოქმედონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც იმყოფებიან პროტექტორატის ქვეშ".

აქედან დასკვნა. გამოდის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაშინ გახდება ფიფა-ს წევრი, როდესაც საქართველო მიაღწევს თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ან როგორც ანექსირებული სახელმწიფო (რის შესახებაც საქართველოს მთავრობამ დასვა კიდეც საკითხი). ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა ფიფა-ში, თუ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციისაგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნის საკუთარ ფეხბურთის ფედერაციას და თან ფიფა-ში წარადგენს საქართველოს ანექსიის დამადასტურებელ საბუთს.

● **აქედან გამოდის ბუნებრივი დასკვნა — საქართველოს ყველა შემთხვევაში ჰქონია უფლება გაერთიანდეს ფიფა-ში, ან როგორც სუვერენული რესპუბლიკა ან როგორც დაპყრობილი კოლონიური ქვეყანა, ბოლოს და ბოლოს ან ერთი ვართ ან მეორე.**

— მართალი ბრძანდებით. მხოლოდ ორი გზა არსებობს ფიფა-ში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გაწევრიანების, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისათვის საქართველო არ არის დამოუკიდებელი სუვერენული რესპუბლიკა. ჩვენი ხალხი სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად ვიბრძვით, ასე რომ რჩება მხოლოდ მეორე გზა, საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნის შემდეგ, ფიფა-ს ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ (როგორი ბედის ირონიაც უნდა იყოს ამაში), რომ საქართველო არის დაპყრობილი ქვეყანა. აქვე კიდევ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. როგორც ირკვევა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ მაშინ ხდება დამოუკიდებელი და შეეძლება გახდეს ფიფა-ს წევრი, როდესაც საქართველოს ყველა გუნდი აუცილებლად ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში, ეს კი ჩვენს გუნდებს გზას უხსნის მიიღონ მონაწილეობა უეფა-ს ტურნირებში. განა ბათუმის „დინამოს", თბილისის „დინამოს", ფოთის „კოლხეთს", სოხუმის „დინამოს", ლანჩხუთის „გურიას", ქუთაისის „ტორპედოს" და სხვა გუნდებს არ ურჩევნიათ „ბარსელონასთან", „მილანთან", „ბაიერნთან" და „ნაპოლისთან" ითამაშონ, ვიდრე დონეცკში, იაროსლავლში, ტიუმენში, კამიშინში და კემეროვოში ჩაატარონ კალენდარული შეხვედრები. ჩვენ ვიცით, რომ ფიფა-ში გაწევრიანებისაკენ ჩვენი გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ სხვა გზა დღეისათვის არ ჩანს. აქვე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თბილისის „დინამოს" უცხოეთში გამგზავრების წინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა და კლუბის პრეზიდენტმა ოთარ წეროძემ განუცხადეს ჩვენს საორგანიზაციო კომიტეტს და „დინამოს" საფეხბურთო კლუბის გაფართოებულ სხდომას, რომ ისინი აუცილებლად ჩავლენ ციურიხში ფიფა-ს შტაბბინაში და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფიფა-ში გაწევრიანების თაობაზე ექნებათ დეტალური საუბარი ფიფა-ს წარმომადგენლებთან.

● **ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ საქართველოს საფეხბურთო დელეგაციამ ახლახანს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე წაიღო განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც 9 იანვრის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა და შემდეგ საქართველოს რადიოთიც გადაიცა, მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ჩვენი პოზიცია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის არსებობის თაობაზე. რა ბედი ეწია ამ განცხადებას, წაიკითხეს თუ არა ჩვენმა დელეგატებმა კონფერენციაზე?**

— საქართველოს დელეგაციის განცხადებაში მართლაც გარკვევით ეწერა, რომ ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით სსრკ ფეხბურთის ფედერაციის იმ ფორმით არსებობას, რომელიც გამორიცხავს რესპუბლიკის ფედერაციის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას და აქედან გამომდინარე მის გაწევრიანებას ფიფა-ში.

ჩვენი საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე კონფერენციიდან დაბრუნებულმა დელეგატებმა მოგვახსენეს, რომ მათ არ წაიკითხეს განცხადება კონფერენციაზე და შემოიფარგლნენ ოფიციალურად მისი სამდივნოში ჩაბარებით. როგორც გვითხრეს, ჩვენს დელეგაციას იმედი ჰქონდა, რომ ეს განცხადება მხარდაჭერას ჰპოვებდა სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებში, მაგრამ ასეთი მხარდაჭერა კონფერენციის წინ გამართულ საუბრებში მათ ვერ დაინახეს. ჩვენმა საორგანიზაციო კომიტეტმა ჩათვალა, რომ საქართველოს დელეგაციამ დავალება ვერ შეასრულა. კონფერენციის წინა შინაურული საუბრები ერთია და ტრიბუნიდან წარმოთქმული ოფიციალური განცხადება მეორე. ჩვენი აზრით, ამ განცხადების წაკითხვას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა კონფერენციაზე.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს დელეგაციამ სსრკ ფეხბურთის ფედერაციის წესდების მიღებაზე კენჭისყრის დროს თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ ის არ თვლიდა თავს უფლებამოსილად გადაეწყვიტა ის, რაც უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ახლადშექმნილმა ფეხბურთის ფედერაციამ. კერძოდ, შევიდეს თუ არა წევრად სსრკ ფეხბურთის ფედერაციაში. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ჩვენი დელეგაციის რამდენიმე წევრი აირჩიეს საკავშირო ფედერაციის სხვადასხვა ორგანოებში.

● **დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ფიფა-ში გაწევრიანების საკითხს, რომელიც ყველაზე მეტად აღელვებს ჩვენს საზოგადოებას. როგორც ფიფა-ს წესდებიდან ჩანს, უნდა გვქონდეს აუცილებლად დამოუკიდებელი ფედერაცია და საკუთარი ჩემპიონატი, რომ ფიფა-მ მიგვიღოს, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ახლახანს თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება „დინამომ" ითამაშოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.**

— მართალია იმ სხდომაზე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ ისიც ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველოს გუნდების სსრკ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ახლადშექმნილმა ფეხბურთის ფედერაციამ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული ოსტატთა გუნდების ზოგიერთი წარმომადგენელი დღესაც „ცენტრში" ეძებს გზას, რომ როგორმე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ითამაშოს. იმ ჩემპიონატში, რომელშიც გუნდებს შორის გარიგებები, არაობიექტური მსაჯობა, უხეირო კალენდარი და საკონფლიქტო საკითხთა ტენდენციური გადაწყვეტა ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეხბურთელთა ოსტატობის დონის სრულყოფაზე, უარყოფითად მოქმედებს მათ ზნეობაზე...

● **როგორც ჩვენი საუბრიდან ირკვევა, საქართველოს ფეხბურთის აღმავლობის ყველა გზა საკუთარი დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნისაკენ მიდის. როგორც ცნობილია, სწორედ ასეთი საფეხბურთო ფედერაციის შექმნა აქვს მიზნად დასახული მოახლოებულ საფეხბურთო ყრილობას. როგორ მიმდინარეობს ყრილობისათვის სამზადისი?**

— საფეხბურთო ყრილობის ჩატარება საორგანიზაციო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს 15 თებერვლისათვის თბილისის ჭადრაკის სასახლეში. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თითქმის მთლიანად არის შემუშავებული ფეხბურთის ფედერაციის წესდების პროექტი, რომელიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება „ლელოში". ვსარგებლობთ შემთხვევით და ვთხოვთ ფეხბურთის გულშემატკივრებს თავიანთი შენიშვნები და წინადადებები მოგვაწოდონ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 49-ა, რაზეც წინასწარ ვუხდით მადლობას. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებს უკვე დაეგზავნათ წერილები ადგილებზე ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების თაობაზე და ყრილობის დელეგატთა შესარჩევად. ამა თუ იმ რაიონიდან ყრილობის დელეგატთა რაოდენობის განსაზღვრისას საორგანიზაციო კომიტეტი ითვალისწინებდა რაიონის მოსახლეობის რაოდენობას და ამ რაიონის ხვედრით წილს საქართველოს ფეხბურთის განვითარებაში.

საორგანიზაციო კომიტეტმა, ამასთანავე, გაითვალისწინა რა ფეხბურთის როლი ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში, დელეგატების მანდატები გამოუყო როგორც ფეხბურთში მომუშავე, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც. აქვე უნდა ითქვას, რომ წესდებით გათვალისწინებულია ყრილობაზე ალტერნატიული წესით პრეზიდენტის არჩევა და დასახელებულმა კანდიდატებმა ყრილობაზევე უნდა წარმოადგინონ თავიანთი პროგრამა.

## ფეხბურთის ახალი ამბები

**ლისაბონის** „ბენფიკამ", რომელიც დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მეტოქეა ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, თავის მინდორზე ამხანაგური მატჩი მოუგო საფრანგეთის „მარსელს" — 1:0. ერთადერთი ბურთი ტაიმის დასასრულს გაიტანა ვატამ.

**ავსტრიისა** და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ასოციაციებმა მოილაპარაკეს, რათა რეგულარულად გამართონ ამხანაგური შეხვედრები თავიანთ საუკეთესო გუნდებს შორის. ჩეხოსლოვაკიის სააგენტო ჩტკ იუწყება, რომ განზრახულია, აგრეთვე, ამ ორ ქვეყანას შორის მწვრთნელთა გაცვლა-გამოცვლაც.

**არგენტინის** ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების გეგმა. არგენტინელები 28 მარტს გლაზგოში შეხვდებიან შოტლანდიის ნაკრებს, 4 აპრილს — ბარსელონაში ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბს ოლიმპიური სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში, 5 მაისს — ვენაში ავსტრიის ნაკრებს, 8 მაისს — ციურიხში (ან ბერნში) შვეიცარიის ნაკრებს, და ბოლოს, 22 მაისს — თელ-ავივში ისრაელის ნაკრებს.

23 მაისს არგენტინელები იტალიაში ჩავლენ და საბოლოო მზადებასაც იქ დაამთავრებენ.

## ბრაზილიელი ვეტერანები — პირველნი

**ბრაზილიის** ქალაქ სან-პაულუში დამთავრდა ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია საფეხბურთო წრეებში.

ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ჰოლანდიის გუნდები. ბრაზილიელთა დიდი უპირატესობა აშკარა იყო, მათ ანგარიშით 5:0 დაამარცხეს მეტოქე და პირველი ადგილი დაიკავეს.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ არგენტინისა და იტალიის გუნდები, დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს არგენტინელებმა — 3:2.

# პირველად საკუთარი ხარჯებით...

**ჩვენი** გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი წინასასეზონო სამზადისს საზღვარგარეთ გადის. რედაქციაში გვესტუმრა თბილისის „დინამოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი ჩხოლარია, რომელიც თან ახლდა დინამოელებს. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მისი ნაამბობი ევროპაში დინამოელების მიერ ჩატარებული შეხვედრების შესახებ.

— პირველი მატჩი თბილისის დინამოელებმა 13 იანვარს საფრანგეთის ქ. როდეზში ამავე სახელწოდების გუნდთან გამართეს. შეხვედრა, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ფრედ — 1:1 დამთავრდა. ამ მატჩში გოლები გაიტანეს ცაავამ და ცხადაძემ (საკუთარ კარში), დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ხაპოვი, კეტაშვილი, ცვეიბა, ცხადაძე, დანელია, ცაავა, კაჭარავა, ჭედია, გოგიჩაიშვილი, გურული, ქეცბაია. 16 იანვარს პარიზში თბილისელების მეტოქე ალჟირის ნაკრები იყო. დაძაბული, საინტერესო ბრძოლა დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. პირველი ბურთი ალჟირელებმა გაიტანეს, ანგარიში ქეცბაიამ გაათანაბრა, რომელმაც კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის საჯარიმოში შექმნილი არეულობა, გამარჯვების გოლი შორეული ძლიერი დარტყმით ჭედიამ გაიტანა. სპორტულმა გაზეთებმა და ჟურნალებმა დიდი ადგილი დაუთმეს ამ შეხვედრის ანალიზს. ალჟირელებთან თბილისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ცხადაძე, დანელია, ცაავა, ჭედია, ჯიშკარიანი, გურული, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი. ტრავმა მიიღო კეტაშვილმა, რომელიც თბილისში დაბრუნდა და მკურნალობას აქ დაამთავრებს.

საფრანგეთიდან თბილისის დინამოელები საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად შვეიცარიაში გაემგზავრნენ, ჩვენი გუნდის გარდა მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბორდო“ (საფრანგეთი), „ბოავისტა“ (პორტუგალია), „პარტიზანი“ (ბელგრადი) და მასპინძლები — შვეიცარიის „სერვეტის“ ფეხბურთელები. შეხვედრები 15-15-წუთიანი ორი ტაიმისგან შედგებოდა. ჩვენმა გუნდმა თანმიმდევრულად დაამარცხა „პარტიზანი“ — 6:2, „ბოავისტა“ — 5:2, „ბორდო“ — 1:0 და ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრაში დამარცხდა „სერვეტთან“ — 3:4.

ფინალი, რომელშიც თბილისელთა მეტოქე საფრანგეთის „ბორდო“ იყო (ეს გუნდი თბილისელებს ქვეჯგუფში დამარცხებული ჰყავდათ — 1:0), თამაში საინტერესოდ წარიმართა და ფრანგი ფეხბურთელების გამარჯვებით — 6:4 დამთავრდა. მაყურებელთა დიდი ნაწილის სიმპათიები ჩვენი გუნდის მხარეს იყო, ისინი ყველა შეხვედრის დროს ოვაციებით ამხნევებდნენ დინამოელებს. ტურნირის ორგანიზატორებს დაწესებული ჰქონდათ ფულადი თანხა. ჩვენმა კოლექტივმა საპრიზო ადგილზე გასვლისთვის 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი მიიღო, ხოლო ტურნირის გამარჯვებულს „ბორდოს“ 10 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადაეცა. ამ ასპარეზობაში ჩვენი გუნდის კარგ გამოსვლაზე ისიც მეტყველებს, რომ შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ დაწესებული პრიზების უმეტესობა მათ ხვდათ წილად. პირველი დღის საუკეთესოდ (ტურნირი ორ დღეს მიმდინარეობდა) ჩვენი გუნდი დაასახელეს, ოთარ გაბელიას გადაეცა საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული პრიზი, ორი პრიზით დაჯილდოვდა თემურ ქეცბაია — საუკეთესო მოთამაშის და საუკეთესო ბომბარდირისა (ქეცბაიამ ამ შეხვედრებში მოწინააღმდეგეთა კარში 8 ბურთი გაიტანა). მასვე საჩუქრად გადასცეს შვეიცარიული მარკის ორი საათი „როლექსი“.

შვეიცარიაში გამართული ტურნირის შემდეგ დინამოელებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გააგრძელეს სამზადისი. ჩვენი გუნდი დაბინავდა შტუტგარტთან ახლოს, პატარა ქალაქ რიუდში, სადაც იმყოფებიან კიევის დინამოელებიც. საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ ნაკრების კანდიდატთა სიაში გ. კეტაშვილი და ა. ცვეიბა შეიყვანა. საბჭოთა კავშირის ნაკრები 31 იანვარს იტალიაში გაემგზავრება და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთ ციკლს იქ გამართავს. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ის გერმანიაში 1 თებერვლამდე დარჩება, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს ადგილობრივ კლუბებთან. 2 თებერვალს დინამოელები თბილისში დაბრუნდებიან და განაგრძობენ ვარჯიშს. 9 თებერვალს გუნდი ლესელიძეში გაემგზავრება. დაგეგმილია საკონტროლო მატჩები მოსკოვის „დინამოსთან“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“.

აღსანიშნავია ერთი დეტალი: საზღვარგარეთ ტურნირებზე ჩვენი კლუბის არსებობის მანძილზე თბილისის დინამოელებმა პირველად შეძლეს საკუთარი ხარჯებით დაეფარათ ყველა ის ხარჯი, რომელიც გუნდს მოგზაურობისთვის სჭირდება.

მომავალი სეზონისთვის მზადებას საზღვარგარეთ თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით გადის. გაბელია, ხაპოვი, ცხადაძე, ცვეიბა, დანელია, ჯიშკარიანი, ნემსაძე, ცაავა, ჭედია, არზიანი, გოგიჩაიშვილი, კაჭარავა, ქეცბაია, გურული, ჯიშკარიანი, ჩიქოვანი.

**ზაზა კახაძე.**

# სერგო ჯაიანი



ქართულმა ტანვარჯიშულმა სკოლამ, რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგო შოთას ძე ჯაიანი.

დაიბადა იგი 1928 წლის 23 აპრილს სოხუმში, მოსამსახურის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მერე საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და სერიოზულად დაიწყო ვარჯიში. 50-იან წლებში ს. ჯაიანი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე გახდა.

შრომით საქმიანობასაც შედარებით ადრე დაეწაფა. ჯერ საქართველოს ფიზკულტურის ტექნიკუმში მუშაობდა მასწავლებლად, მერე კი საწვრთნელ საქმიანობას მიჰყო ხელი.

1957 წლიდან იგი კარგა ხანს საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის შტატში ირიცხებოდა, როგორც ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი, პარალელურად თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის ფაკულტეტი დაამთავრა.

1964 წლიდან 1981 წლამდე ს. ჯაიანი საქართველოს სპორტკომიტეტში მუშაობდა. იყო რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, სპორტის მასობრივ და წყალთა სახეობების განყოფილების უფროსი, სპორტული სამმართველოს უფროსი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1981 წლიდან ჯანმრთელობის გაუარესების გამო პენსიაზე გადის, თან მუშაობას იწყებს საქართველოს სპორტსახკომში კონსულტანტად. 1984 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკურ სასპორტო სკოლის კონსულტანტი და თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემდა ახალგაზრდებს.

ს. ჯაიანი სპორტულ სამყაროში ცნობილი იყო, როგორც სამართლიანი, კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაკი. ასეთად დარჩება იგი სამუდამოდ ჩვენს ხსოვნაში.

**საქართველოს სპორტსახკომი,**

**ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია,**

**საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლა.**

საკავშირო თასის გათამაშება წყალბურთში

# ზოგჯერ თქმითაც დაშავდების

**თბილისის** „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი, ლვოველ თანაკლუბელებთან ერთად, თავის ქვეჯგუფში საკავშირო თასის გათამაშების პირველ ეტაპზე აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. რატომაც არა — ამ ეტაპზე ხომ მისი მეტოქეები პირველი ლიგის გუნდები: ყაზანის „სინთეზი“, კაუნასის „ბანგა“, თბილისის „უნივერსიტეტი“ (ყოფილი ასკ) და მინსკის უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდები იყვნენ. ამ გუნდებთან შეხვედრაში ჩვენს დინამოელებს თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა არ უნდა გასჭირვებოდათ, მით უმეტეს, რომ ქვეჯგუფში ორი საგზური იყო.

სამწუხაროდ, თბილისის დინამოელებმა მინსკში გამართულ ამ შეხვედრებში სრულიად მოულოდნელი ფიასკო განიცადეს. ისინი დამარცხდნენ ყაზანის (8:9), ლვოვისა (6:15) და მინსკის (8:18) გუნდებთან. უნივერსიტეტელებთან ფრედ ითამაშეს (10:10), ხოლო კაუნასელებთან გაჭირვებით მოიგეს (12:11).

თავი ვერც თბილისის უნივერსიტეტელებმა გამოიჩინეს. ისინი დამარცხდნენ ლვოვის (4:18), მინსკისა (6:7) და ყაზანის (8:14) წარმომადგენლებთან, კაუნასელებთან კი ფრედ ითამაშეს (10:10).

მინსკის ქვეჯგუფიდან თასის გათამაშების შემდგომი ეტაპის საგზური მასპინძლებმა და ლვოველებმა მოიპოვეს.

ახლა, საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ჩვენი გუნდების მარცხი მეტად შემაშფოთებელია, განსაკუთრებით დინამოელებისა. ისინი ახალ სპორტულ სეზონს, თუ მინსკში გამოსვლის შედეგებით ვიმსჯელებთ, აშკარად მოუმზადებლები ხვდებიან.

ზემოთ ვთქვით, თბილისის დინამოელებმა მოულოდნელი ფიასკო განიცადესო. ერთი შეხედვით ეს მართლაც მოულოდნელი იყო, მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზები აქვს. ახლა ამ მიზეზების ახსნას არ შევუდგებით, რადგან ვხელმძღვანელობთ პრინციპით, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო.

იმედი გვაქვს, ყველაფერი გამოსწორდება და ჩვენი დინამოელები, ასევე მათი თანაქალაქელი უნივერსიტეტელები, უკეთ ითამაშებენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**

## ტელეტაიპი - მკითხველი

**კარკასონე** (საფრანგეთი). აქ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. თავისუფალი სტილის ათლეტთა ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს (ლენინგრადელმა რ. მამედოვმა, მახაჩყალელებმა ა. ალისულთანოვმა, გ. რამიდოვმა, ალმაათელმა გ. ხაზამოვმა, ყარაჩაეველმა შ. ბერდიევმა). კლასიკურ ჭიდაობაში ასპარეზობდა უკრაინის ნაკრები, რომლის წევრებმა ოთხი პირველი, ორი მეორე და ამდენივე მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

**ტოკიო.** იაპონიის ბადმინტონისტთა ღია ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველ წარმატებებს მიაღწიეს. ა. ანტროპოვმა დაამარცხა ა. მეიერი (ჰოლანდია), ვ. შმაკოვმა — ცზე ბუნი (ჰონკონგი) ს. ბელიასოვამ — ე. კოენი (ჰოლანდია), ხოლო ა. სეროვამ — კ. იახი (იაპონია).

**ველინგტონი.** ახალი ზელანდიის ამ ქალაქში მიმდინარე მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ინგლისელმა ადრიან მურჰაუზმა 100 მ. ბრასის სტილით ცურვაში თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 1.01,49.

**ანტვერპენი.** პროფესიონალ ველოსიპედისტთა ექვსდღიანი რბოლა გამოცდილმა ბელგიელმა სპორტსმენებმა ეტიენ დე ვილდემ და ერიკ ვან დერ ერდენმა მოიგეს — 515 ქულა. მეორე ადგილზე იტალიელები პრიანჯელო ბინკოლეტო და ვეიდო ბონტემპი გავიდნენ — 414 ქულა.

**იონაგო.** იაპონიის ამ ქალაქში ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა საინტერესო ტურნირი — „ყველა ვარსკვლავი“. ფინალში ჩინელმა ჩენ ლონცანმა დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი იუ ნამ კიუ (სამხრეთ კორეა).

# გულდასაწყვეტი დანაკლისი

**სერგო** ჯაიანს თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი იმ სპორტსმენთა შორის, რომლებიც უანგაროდ ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ქართულ სპორტს და შორს გაატქვთ მისი სახელი.

...1952 წელი. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები. ვოვა (ასე ვეძახდით მას), ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე, სსრ კავშირის ნაკრების სათადარიგო მონაწილე გახლდათ. ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა ტრიუმფით განვლეს ეს ოლიმპიური ნათლობა. ჯაიანი მზად იყო ღირსეულად ჩაბმულიყო ამ ჭიდილში და თავისი სიტყვაც ეთქვა (ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა, ოღონდ ოლიმპიურ თამაშებში კი არა, მსოფლიო პირველობაზე, სადაც საქართველოს წარმომადგენელმა ოქროს მედალი მოიპოვა გუნდურ პირველობაში), მაგრამ იგი არ დააყენეს მთავარ გუნდში. XV ოლიმპიადის მიწურულს ორი მნიშვნელოვანი ფინალური შეხვედრა უნდა გამართულიყო კრივსა და კალათბურთში, ვოვა ჯაიანი ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდა — არ იცოდა, სად, რომელ შეჯიბრებაზე წასულიყო. კრივი მისი ბავშვობის გატაცება გახლდათ და წარმატებითაც გამოდიოდა რინგზე. იყო საქართველოს ჩემპიონი. სხვათა შორის, მასთან ერთად საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა ცნობილი სოხუმელი მეკარე ვლადიმერ მარღანია. ეტყობა, რინგის კვადრატი ორივეს „ეპატარავა“, ამიტომ უფრო დიდ სარბიელზე გადაინაცვლეს და სწორედ ტანვარჯიშსა და ფეხბურთში მოხდა მათი ტალანტის სრულყოფა (ორივემ მაღალი კლასის სპორტსმენის სახელი დაიმკვიდრა).

რაც შეეხება კალათბურთს, ვოვას მეუღლე ნინული სწორედ ამ სახეობის წარმომადგენელი იყო და ქმრისგან დაწვრილებით ინფორმაციას ელოდა ოლიმპიელთა ფინალური ბრძოლის შესახებ, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირისა და აშშ-ის ნაკრები გუნდები. მაგრამ ვოვამ ვერ უღალატა თავის ძველ გატაცებას და მოკრივეთა ფინალურ ბრძოლებს მიაშურა...

როცა სარბიელს ჩამოსცილდა, სხვა მხრივაც დიდი სამსახური გაუწია სპორტს — თავი გამოიჩინა, როგორც ერუდირებულმა და ენერგიულმა ორგანიზატორმა ამ სფეროში. საქმისადმი მისი პრინციპული დამოკიდებულება, დღესაც სამაგალითო და მისაბაძია ბევრისთვის. ამიტომაცაა კიდევ უფრო გულდასაწყვეტი მისი წასვლა ამ ქვეყნიდან.

**ე. უნგიაძე.**

# განიმტკიცა პოზიცია

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.

**ვილნიუსი.** ადგილობრივმა „სტატიბამ“ პირველი შეხვედრა რიგის ვეფ-თან 8 ქულით წააგო. განმეორებით მატჩშიც რიგელთა უპირატესობა იგრძნობოდა, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც გამარჯვება — 85:73. ლატვიის კალათბურთელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს პოზიცია სატურნირო ცხრილში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 იანვრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 27 | 23 | 4 | 50 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 18 | 12 | 48 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 28 | 17 | 11 | 45 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 26 | 18 | 8 | 44 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 27 | 13 | 14 | 40 |
| „კალევი“ (ტალ.) | 25 | 14 | 11 | 39 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 28 | 11 | 17 | 39 |
| რტი (მინსკი) | 28 | 11 | 17 | 39 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „დინამო“ (თბ.) | 25 | 9 | 16 | 34 |
| „შახტ.“ (დონ.) | 26 | 7 | 19 | 33 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 28 | 4 | 24 | 32 |

# ფინალისტები

**მელბურნი.** ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ქალთა ფინალში გავიდნენ შტეფი გრაფი (გფრ) და მარი ჯო ფერნანდესი (აშშ). პირველმა ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა სუკოვა დაამარცხა 6:3, 3:6, 6:4, მეორემ კი 18 წლის დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელი კლაუდია პორვიკი — 6:2, 6:1.

ვაჟთა ტურნირის ფინალში ითამაშებენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და სტეფან ედბერგი (შვეცია), რომლებმაც ნახევარფინალში შესაბამისად ფრანგი იანიკ ნოა (6:4, 6:1, 6:2) და შვედი მატს ვილანდერი (6:1, 6:1, 6:2) დაამარცხეს.

ქალთა წყვილების ფინალში ისპარეზებენ ამერიკელები მარი-ჯო ფერნანდესი — პეტი ფენდიკი და ჩეხოსლოვაკიელები იანა ნოვოტნა — ჰელენა სუკოვა.

**რედაქტორის მოადგილე**
**შ. ჭიჭინაძე**

66485 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00351